ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1021607

ნომერი: AR1179483

თარიღი : 25.11.2013

გაცემის თარიღი : 02.12.2013

გაცნობის თარიღი : 16.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ინგა მაისურაძე პ/ნ 01026001428
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 40 ბ. 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- კოეფიციენტის განსაზღვრა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთი (საკად. კოდი #01.18.06.014.064) დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად, მოქცეულია საცხოვრებელ ზონა 5 (სზ-5)-ში, რომელშიც მოქმედებს შემდეგი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.5;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 2,1;
- მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობების გარდა, შესაძლებელია, სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი 1).

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საკადასტრო გეგმიდან და ამონაწერიდან საჯარო რეესტრიდან ირკვევა, აღნიშნული მიწის ნაკვეთი შეზღუდული სარგებლობით (სერვიტუტით) არის დატვირთული, რაც ზღუდავს მის სამშენებლო განვითარებს.

ამასთან გაცნობებთ, რომ თუ მოიხსნება აღნიშნული სერვიტუტი, მიწის ნაკვეთზე, მისი ფართობიდან გამომდინარე, არსებული გამწვანების შენარჩუნებით, უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების პროექტი, რომლის შესაბამისადაც მოხდება აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლო განვითარება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge